ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5494953

ნომერი: AR1836138

თარიღი : 06.07.2021

გაცემის თარიღი : 09.07.2021

გაცნობის თარიღი : 28.07.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ველოტრეკის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 06 ივლისს №AR1836138 განცხადებით მომართა ვასილი ცომაიამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 27 თებერვლის №4877547 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისში, დიდი დიღომის დასახლება, ველოტრეკის მიმდებარედ არსებულ №01.10.06.001.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 4 ბლოკის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებით გაიცა №3 ბლოკის მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 28 აპრილიდან 2024 წლის 28 აპრილის ჩათვლით. სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს „გრადა“ (ს/ნ: №405181244).

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებაში ცვლილების შეტანას კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - შპს გრადას (ს/ნ: №405181244) ნაცვლად ახალი მესაკუთრის - შპს გრადა პანორამას (ს/ნ: №405461432) დაფიქსირებას.

დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882021428935, მომზადების თარიღი: 07/06/2021 წ.) ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლება, ველოტრეკის მიმდებარედ არსებულ №01.10.06.001.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს გრადა პანორამა (ს/ნ: №405461432).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21048871, მომზადების თარიღი: 19/05/2021 წ.) შპს გრადა პანორამას (ს/ნ: №405461432) დირექტორებს წარმოადგენენ გიორგი ბერუაშვილი (პ/ნ: №01019013522) და დავით მეტივიშვილი (პ/ნ: №09001002806). შპს გრადა პანორამას წესდების/პარტნიორთა შეთანხმების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის შესაბამისად აღნიშნულ საზოგადოებას დირექტორები მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენენ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად. შესაბამისად, სამსახურში წარმოდგენილი გიორგი ბერუაშვილის მიერ განმცხადებლის - ვასილი ცომაიას სახელზე გაცემული 2021 წლის 05 ივლისის მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს გრადა პანორამა (ს/ნ: 405461432).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს გრადა პანორამა (ს/ნ: №405461432).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის №5387034 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.